

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 7

ქ. თბილისი

08.07.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

საბა სარიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი, შპს „კომერციული პარტნიორები - საერთაშორისო“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
ლიანა ზამზახიძე - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი, შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

მარიამ ტვილდიანი - შპს დავით ტვილდინის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დირექტორი;
თამარ თალაკვაძე - შპს დავით ტვილდინის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნინო გიორგაძე - შპს დავით ტვილდინის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის იურისტი;
ნატალია ბარათელი - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის სამსახურის უფროსი;
ჰენრიხ ყარაშვილი - შპს ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო ნაწილის უფროსი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შორენა ჯაფარიძე;
პეტრე ბაბილუა;
თამარ ვალიშვილი;
ეკატერინე გიგაშვილი;
დალი კალაძე;
თეა შაყულაშვილი;
მარინა გოგოლაძე.

სხდომა დაიწყო 14:36 საათზე. სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საბა სარიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, ან ხომ არ ჰქონდათ აცილება რომელიმე საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრების, ცენტრის წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მხარეების მხრიდან რაიმე შუამდგომლობა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა, შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ დაამტკიცა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.



1. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექონო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა სხდომის მდივანს, საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ჩარჩო დოკუმენტის და მოდულების გადამოწმების შედეგად დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის შენიშვნები. კერძოდ, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოდულები, როგორც წესი, წარმოდგენდნენ სტანდარტული მოდულების ადაპტირებულ ვარიანტებს, თუმცა ცალკეული მოდულების „დამხმარე ჩანაწერების“ ნაწილი არ იყო სრულად ადაპტირებული, კერძოდ, პუნქტების დასახელებაში ფიგურირებდა სიტყვა „სარეკომენდაციო“, რაც არ იყო მართებული, ვინაიდან დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოდულის ჩანაწერები არ ატარებდა სარეკომენდაციო ხასიათს; ასევე მითითებული იყო „მოდულის ავტორი“ ნაცვლად „მოდულის განმახორციელებლისა“.

1.2 დირექტორის 2016 წლის 10 თებერვლის № 13 ბრძანებით დამტკიცებული „სწავლებისა და ორგანიზების მართვის დებულებაში“ არ იყო ხაზგასმული, რომ სტუდენტის განმეორებითი შეფასების შემთხვევაში არ ხდებოდა უკვე დადასტურებული მოდულების/სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურება. ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2016 წლის 2 ივნისის №17 ბრძანების საფუძველზე, აღნიშნულ წესში შევიდა შესაბამისი ცვლილება და წესი ჩაიწერა ახალი რედაქციით.

1.3 „ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულში“ იყო ტერმინები, რომლებიც არ შეესაბამებოდა პროფესიული განათლების სფეროს მარეგულირებელ დოკუმენტებში (მათ შორის პროფესიული განათლების შესახებ კანონში), მიღებულ ტერმინოლოგიას, მაგალითად: „დირექტორი... გასცემდა საპატიო წოდებებისა და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის დამადასტურებელ დოკუმენტს“ , „წამყვანი პროფესორი“, დირექტორი „წარმომადგენდა კოლეჯს... აკადემიურ და საემციერო სფეროში სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად, ქულათა რაოდენობის დადგენილი წესით შეფასება. ვიზიტის პროცესში აღნიშნული ტერმინოლოგიური უზუსტობები გამოსწორებულ იქნა დირექტორის 2016 წლის 2 ივნისის №15 ბრძანების საფუძველზე.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ვიზიტის პერიოდში ხელშეკრულების ვადის გაზრდის მიზნით დაიდო ახალი საიჯარო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც ვადა გაიზარდა 7 წლამდე და შეადგინა - 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე, აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულება ვიზიტის პერიოდში არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

2.2 სასწავლო ფართის ინვენტარის ქირავნობის ხელშეკრულების ვადა შეადგენდა მხოლოდ 1 წელს (14 დეკემბერი 2015-დან 14 დეკემბერი 2016 -მდე), რაც ნაკლები იყო როგორც

ავტორიზაციის ვადის ასვე პროგრამის ხანგრძლივობის. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ქირავნობა მოქმედებდა 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

2.3 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განვიტარების გრძელვადიან და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში არ იყო მითითებული რომელ წლებს შეეხებოდა გეგმები და მათში წარმოდგენილი ღონისძიებები. არ იყო მითითებული პასუხისმგებელი პირები, ინდიკატორები. ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2016 წლის 2 ივნისის №18 ბრძანების საფუძველზე გეგმებში შესული იყო ცვლილება, კერძოდ მითითებულ იქნა წლები.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული შენიშვნებიდან რა არ იქნა გამოსწორებული ვიზიტის მიმდინარეობისას. ექსპერტმა განაცხადა, რომ იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია ვერ მოესწრო ვიზიტის მიმდინარეობისას. დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომის მიმდინარეობისას წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი.

საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული უვადო მემორანდუმები კლინიკებთან, რაც იყო ძალიან იშვიათი შემთხვევა, ვინაიდან, სამწუხაროდ კლინიკები თავს იკავებდნენ მსგავსი შინაარსის მემორანდუმების გაფორმებაზე. მაია ჩიხლაძის განმარტებით, კლინიკები როგორც წესი ძირითადად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დებდნენ 3 წლიან მემორანდუმებს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა შენიშვნა მათ მიერ იყო გამოსწორებული.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით დაწესებულება ითხოვდა კონტიგენტს 150 პროფესიული სტუდენტით განსაზღვრას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობდა კლინიკეში, ასევე დაწესებულებას ჰქონდა სიმულაციური ოთახები და ბაზა, სადაც სავსებით შესაძლებელი იყო სწავლების განხორციელება მითითებულ რაოდენობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯს (ს/კ: 402022609) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.



2. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა სხდომის მდივანს, საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა დასკვნა საბჭოზე წარადგინეს ექსპერტებმა თამარ ვალიშვილმა და ეკატერინე გიგაშვილმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში შემოწმებულ იქნა ყველა პროგრამა გარდა კორესპოდენტის III საფეხურის, საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის II საფეხურისა და ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული პროგრამებისა, რადგან დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ამ პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა და მომავალშიც კოლეჯს სურვილი ჰქონდა შეეწყვიტა სწავლების პროცესი აღნიშნულ პროგრამებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა შემდეგი შენიშვნები, კერძოდ, საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში პროფესიული მასწავლებელად მითითებული იყო ზოგადად - პარტნიორი კლინიკის მედდა და არა კონკრეტული პირი. შესაბამისად, არ იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ კონკრეტულ პროფესიულ მასწავლებელთან. დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით ასეთ შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულება ფორმდებოდა საწარმოო პრაქტიკის დაწყების წინ მიმდინარეობდა, რომელიც არსებული მემორანდუმის თანახმად გამოყოფილი იქნებოდა სამედიცინო დაწესებულების მიერ.

1.2 მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა შემდეგი გარემოება, კერძოდ, პროფესიული პროგრამის ფარგლებში დასაკორექტირებელი იყო სწავლების შედეგების რუქა. კერძოდ, სასწავლო კურსი „ბიზნეს კომუნიკაცია“ არ ითვალისწინებდა კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას. ამავე პროგრამის სასწავლო კურსი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ საერთოდ არ გამოიმუშავებდა არც ერთ კომპეტენციას შედეგების რუქის მიხედვით.

1.3 ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის ქართული და ინგლისურენოვანი პროფესიული პროგრამასთან დაკავშირებით, ინგლისურენოვანი პროგრამა წარმოადგენდა ქართულენოვანი პროგრამის ნათარგმნ ვერსიას, ორივე პროგრამა აკრედიტებული იყო (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N134, 03.07.2012). ორივე პროგრამის მოცულობა იყო 35 კრედიტი, პრაქტიკისა და თეორიული კომპონენტების რაოდენობა შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან. ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლების ენა იყო ინგლისური, დაშვების წინაპირობას წარმოადგენდა საბაზო განათლება და კონკურსის შემთხვევაში მათემატიკაში მაღალი შეფასება (Prerequisites for admission to a program: According to the legislation - the basic level of general education in the case of the competition is regarded for applicants



having a high estimation in mathematics). პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში არ იყო განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დონე, ასევე არ იყო დაშვების წინაპირობად უცხო ენის ცოდნის დონე განსაზღვრული ინგლისური ენის სასწავლო კურსისთვის, რაც სწავლის შედეგების მიღწევისთვის იყო მნიშვნელოვანი.

1.4 ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, მოდული „სააღმზრდელო გარემო“, რომლის განხორციელებაც დაგეგმილი იყო მე-16 კვირაში, იყო „ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის“ მოდულის წინაპირობა, რომელსაც ახორციელებდნენ მე-11 კვირიდან. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად აღნიშნული ხარვეზი გასწორდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე მოდულის სასწავლო ლიტერატურა და სასწავლო გარემო მოდულში მითითებული პარამეტრების გათვალისწინებით; მოდულური პროგრამის განხორციელებისთვის A და B გარემო აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით, რომელიც მითითებული იყო მოდულებში და აღნიშნული ინვენტარი კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იყო განწესებული მოდულური პროგრამის განსახორციელებლად. რაც შეეხებოდა მოდულით განსაზღვრულ სასწავლო მასალასა და ნედლეულს დაწესებულებას დაგეგმილი ჰქონდა ავტორიზაციის მოპოვების შემდგომ, პროგრამის დანერგვის ეტაპზე მასალისა და ნედლეულის შესყიდვა. პრაქტიკული მოდულების განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი საბავშვო ბაღთან- „ანი ბელა“. მოხდა საბავშვო ბაღის დათვალიერება რომლის ინფრასტრუქტურა შესაბამისობაში იყო მოდულის მოთხოვნებთან, ხოლო პერსონალი მზაობას გამოთქვამდა აღნიშნული პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის, თუმცა აღნიშნულ ბაღში გაცნობითი პრაქტიკის მოდულის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ჰყავდათ სხვა საბავშვო ბაღიდან მოწვეული მასწავლებელი.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე დაწესებულება ფლობდა ქ. თბილისში, ქსნის ქ.,35-ში არსებულ 404.65 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (პირველი სართული – 302.47 კვ.მ., მეორე სართული – 102.18 კვ.მ) და ქ.რუსთავში, შევჩენკოს ქ., N5-ში არსებულ 412,9 კვ.მ.

ქ. რუსთავში არსებული ფართი მოიცავდა 3 შენობას: N1 – საერთო ფართი 106.79 კვ.მ.; N5- საერთო ფართი 122.64 კვ.მ.; N7 – საერთო ფართი 162.34 კვ.მ.. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა ვერ დაათვალიერეს აღნიშნული ფართის კორპუსი N1 –შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო. რუსთავის ფართზე არსებულ სასწავლო კორპუსებში არ არსებობდა გათბობის სისტემა, სასწავლო ფართი არ იყო ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. ერთ კორპუსში მთლიანად გათიშული იყო ელექტროენერგია.

შპს უმაღლესი სასწავლებლის „განათლების აკადემიასა“ და შპს „საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯს“ შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით (N94, 29.08.2012წ) ორივე მხარე სარგებლობდა ერთმანეთის სასწავლო გარემოში არსებული ქონებით, ბიბლიოთეკით, სველი წერტილებით, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის განკუთვნილი სველი წერტილებით, სამედიცინო პუნქტითა და სასწავლო ლაბორატორიებით.

2.2 საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მეორე ფართის (ქ.რუსთავი, შევჩენკოს, N5) ერთ კორპუსში არ არსებობდა ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (გათიშული იყო დენი), არ იყო არანაირი გათბობის საშუალებებები.

ერთ-ერთი კორპუსის დათვალიერება (სულ საიჯარო ხელშეკრულებით სასწავლო პროცესისათვის გათვალისწინებულია 3 კორპუსი) ვერ მოხერხდა სარემონტო სამუშაოების გამო.

2.3 საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო რესურსები ნაწილობრივ იყო ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის. შენობაში შესასვლელ კიბეზე, სამივე სართულზე არ იყო პანდუსები, თუმცა კოლეჯის დებულების მუხლი 30-ს თანახმად კოლეჯს უნდა უზრუნველყო შენობაში უნარშეზღუდული სტუდენტების თავისუფალი გადაადგილება. შენობაში შემოსვლა უნდა ყოფილიყო შესაძლებელი პანდუსებით, ყველა სართულზე მოხვედრაც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო პანდუსით.

დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული იყო ბრძანება (Nს/9; 13.06.2016წ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლების შესახებ. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შშმ მქონე პირების სწავლების ხელშეწყობის მიზნით კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შშმ პირების ჩარიცხვის შემთხვევაში შშმ პირებისათვის უნდა შეემუშავებინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (დანართი N 8)

კოლეჯის მფლობელობაში მყოფი მეორე ფართი (ქ.რუსთავში, „აკადემ-ქალაქის“ ტერიტორია) საერთოდ არ იყო ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდებოდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. აღსანიშნავი იყო, რომ პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკას უძღვებოდნენ სხვადასხვა სპეციალიზაციის ექიმები: კერძოდ, მანანა სარიშვილი – ექიმი ნევროლოგი, იური მელაძე – ექიმი-ტრავმატოლოგი, ლევან გოგიჩაიშვილი – ქირურგი. მიზანშეწონილი იყო, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება უზრუნველყო მთლიანად პროფესიონალ ექთნებს.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა საშუალება დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული შენიშვნების თაობაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვერ მოასწრეს რუსთავის ფართის გარემონტება, ხოლო თბილისის ფართს რაც შეეხებოდა კოლეჯს ჰქონდა იჯარით აღებული სამ სართულიანი შენობა, რომელიც მთლიანად იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. ასევე არსებობდა კოლეჯის დირექტორის ბრძანება რომელიც პირდაპირ ავალდებულებდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შშმ პირების მიღების შემთხვევაში შეემუშავებინა მათთვის სპეციალური პროგრამა, ბრძანება შეემუშავებულ იქნა ექსპერტების ვიზიტის პერიოდში, ხოლო ვიზიტის დასრულების შემდეგ ბრძანებას დირექტორის მიერ დაემატა კიდევ ერთი, რომელიც ითვალისწინებდა დაწესებულების პერსონალში პროცენტას, რომელიც უზრუნველყოფდა შშმ პირის გადაადგილებას. აღსანიშნავი იყო, რომ არ არსებობდა სტანდარტი რომელიც განსაზღვრავდა თუ რა ევალუბოდა დაწესებულებას და რასთან უნდა მოეხდინა ადაპტირება შშმ პირებისათვის, როდესაც იწერებოდა დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რა იგულისხმებოდა სპეციალურ პროგრამაში შშმ პირებისათვის რომელიც დირექტორის ბრძანებაში იყო გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ აღნიშნული გულისხმობდა პირველ რიგში იმას რომ, პირველ სართულზე უნდა ყოფილიყო მოწესრიგებული ადაპტირებული გარემო, აუდიტორიები, პანდუსები და სველი წერტილები.

რაც შეეხებოდა თანამშრომლობას აკადემიასა და საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს შორის, გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებული იყო საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯსა და განათლების აკადემიას შორის სწავლების განხორციელების დრო. აღნიშნული გაწერილი იყო დირექტორის 2015 წლის ბრძანებაში, რომელიც გადმოგზავნილი



იყო ცენტრში, თუმცა ექსპერტებმა ვიზიტის დროს მოითხოვეს სალექციო საათების ცხრილი, რამაც ძალიან გააკვირვა წარმომადგენელი, ვინაიდან თვითონაც ბრძანდებოდა ექსპერტი და მას ვიზიტის მიმდინარეობისას არასდროს მოუთხოვია მსგავსი რამ. მიუხედავად ამისა მისთვის გასაგები იყო რატომ მოხდა ცხრილის მოთხოვნა ვინაიდან მემორანდუმით გამიჯნული უნდა ყოფილიყო სად და როდის მოხდებოდა ლექციების განხორციელება და ცხრილით მოხდებოდა აღნიშნული საკითხის დადასტურება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა მხოლოდ პირველი სართული იყო გამოყოფილი პროფესიული სტუდენტებისათვის თუ სხვა სართულიც მოიცავდა პროფესიული პროგრამების განსახორციელებელ ფართს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ და მეორე სართულზე ხორციელდებოდა პროფესიული პროგრამები, ეს გახლდათ ის ფართი, რომელიც კოლეჯს საიჯარო ხელშეკრულებით ჰქონდა აღებული, ხოლო მემორანდუმის საფუძველზე მესამე სართულიც ეკუთვნოდა მათ განათლების აკადემიასთან ერთად, სადაც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.

რაც შეეხებოდა პროგრამებს, კერძოდ ექთნის თანაშემწის პროფესიულ პროგრამას წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებს არ შეიძლებოდა დარქმეოდა შენიშვნები, ისინი უფრო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდნენ, კოლეჯი იყო ერთ ერთი იმ მცირერიცხოვან კოლეჯებს შორის, რომელსაც ჰქონდა ათი აკრედიტებული პროგრამა, აღნიშნული ემსახურებოდა გრანტების მიღებას, რომელსაც კოლეჯმა ჯერ ვერ მიაღწია, თუმცა აღნიშნული ყოველ შემთხვევაში გახლდათ მიღწევა. ექთნის თანაშემწის პროგრამაც გახლდათ აკრედიტებული პროგრამა.

პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ნიუ ჰოსპიტალთან და ასევე ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო ტექნიკურ ცენტრთან, თანხას კოლეჯი ურიცხავდა დაწესებულებას და არა კონკრეტულ პირს რომ მათთან განხორციელებულიყო პრაქტიკული კომპონენტი. შესაბამისად მედდასთან ხელშეკრულება ფორმდებოდა კლინიკ ხელმძღვანელთან.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ როდესაც კლინიკაში გამოყოფილი იქნებოდა კონკრეტული ადამიანი, რომელიც განახორციელებდა პრაქტიკულ კომპონენტს ეს იქნებოდა იმის გარანტი, რომ პრაქტიკული კომპონენტი შედგებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯი გახლდათ კერძო დაწესებულება, რომელსაც ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული კერძო კლინიკასთან და ისინი მას ურიცხავდნენ თანხას, რათა მათ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ გაეელოთ პრაქტიკა.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა განმარტა რომ როდესაც ფორმდებოდა ხელშეკრულება ორ სუბიექტს შორის, კლინიკის ხელმძღვანელი თავად გადაწყვიტავდა, თუ ვის დანიშნავდა პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირად, თუმცა სასურველი იყო თავიდანვე ყოფილიყო პროფესიული სასწავლებლისთვის ცნობილი პრაქტიკის განმახორციელებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ. როდესაც ფორმდებოდა მემორანდუმი, მის საფუძველზე ორივე მხარე იღებდა ვალდებულებას, შესაბამისად კლინიკა იღებდა ვალდებულებას, რომ აღნიშნული პერიოდის მანძილზე დადგენილი წესის შესაბამისად აუცილებლად გაატარებდა პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რაც შეეხებოდა მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამას, ავტორიზაციის სტანდარტის თანახმად, სწავლის შედეგები, სხვადასხვა კომპეტენციები გაწერილი იყო სილაბუსებში. აღსანიშნავი იყო, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ ითვალისწინებდა კომპეტენციების რუქას, კომპეტენციების რუქა დაწესებულების მიერ კეთდებოდა მხოლოდ ერთი მიზნით, ექსპერტებს გაადვილებოდათ შრომა და სრული წარმოდგენა შექმნოდათ სასწავლო კურსების გავლის



შემდეგ დამდგარ შედეგებზე. ცენტრში გადმოგზავნილი სასწავლო კურსები ბიზნეს კომუნიკაცია და ადამიანური რესურსები, სილაბუსებში აღწერილი იყო სწავლის შედეგები სხვადასხვა კომპეტენციებით. კერძოდ ბიზნეს კომუნიკაცია გადიოდა კომუნიკაციის უნარზე და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი აღწერილი იყო შემდეგი კომპეტენციებით: ცოდნა-გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სწავლის უნარი, დასკვნის უნარი, ღირებულებები. წარმომადგენლს იმედი ჰქონდა რომ ექსპერტი, რომელიც ამოწმებდა პროგრამას, შეადარა კომპეტენციების რუკა სილაბუსებთან და დაეთანხმებოდა რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას.

ექსპერტმა ეკატერინე გიგაშვილმა განაცხადა, რომ ნამდვილად არ შეუდარებია კომპეტენციების რუკა სილაბუსებისათვის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტებს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვან პროგრამაში ნამდვილად არ იყო განსაზღვრული დაშვების წინაპირობაში ინგლისური ენის ცოდნის დონე, დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტის მოსაზრება და დირექტორის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა უცხოენოვან პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა ინგლისური ენის ცოდნის დონე.

რაც შეეხებოდა ბაგა ბაღის აღმზრდელის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას ვიზიტის მიმდინარეობისას გასწორდა ექსპერტების მიერ მითითებული შენიშვნა, ხოლო გაცნობით პრაქტიკასთან დაკავშირებით ხელშეკრულება დადებული გვექონდა საბავშვო ბაღთან თუმცა პრაქტიკას ახორციელებდა სხვა საბავშვო ბაღის მასწავლებელი. უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტიდან გამომდინარე გაცნობითი პრაქტიკის მოდულის მიზანი იყო სტუდენტებს შეესწავლათ პროფესიის არსი, ორგანიზაციის მოწყობის ძირითადი პრინციპები და ა.შ. მოდულში ზუსტად იყო გაწერილი კომპეტენციები ლექცია დემონსტრირებით, ლექცია და გაცნობითი ექსკურსია. აღნიშნული მოდულის ფარგლებში სტუდენტები სტუმრობდნენ საბავშვო ბაღს პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში, გაცნობით პრაქტიკას ხელმძღვანელობდა კოლეჯის პროფესორ-მასწავლებელი, რომლის შერჩევა იყო კოლეჯის პრეროგატივა და არა პრაქტიკის ობიექტის. ამიტომ დაწესებულება ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტების მოსაზრებას.

ექსპერტმა ეკატერინე გიგაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული არ იყო დავის საგანი, ჩანაწერი იყო სარეკომენდაციო ხასიათის, ჯგუფი იმყოფებოდა საბავშვო ბაღში, სადაც იყო იდეალური გარემოება სწავლის შედეგის თვალსაზრისით, მასწავლებელი, რომელიც ახორციელებდა პრაქტიკას თავად გახლდათ სხვა საბავშვო ბაღის მასწავლებელი, შესაძლებელი იყო კონკურენციის თემა და ამის საფუძველზე ჯგუფმა უბრალოდ ჩამოაყალიბა რეკომენდაცია, რომ უფრო კარგი იქნებოდა მასპინძელი ბაღის მასწავლებელი ყოფილიყო პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აუცილებელი იყო პროფესიულ მასწავლებელს ჰქონოდა პროფესიული გამოცდილება, შესაბამისად აღნიშნული მასწავლებელი თავისთავად შესაძლებელი იყო გამოცდილების თვალსაზრისით ყოფილიყო რომელიმე ბაღის მასწავლებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ პროგრამაზე საწარმოო პრაქტიკას უძღვებოდნენ სხვადასხვა სპეციალიზაციის ექიმები, ექიმი ნევროლოგი, ექიმი ტრავმატოლოგი, ქირურგი. აღნიშნული პროფესიის ექიმები ასწავლიდნენ თავიანთი პროფილით, შესაბამისად წარმოუდგენელი იყო აღნიშნული საგნები მეხუთე საფეხურზე ესწავლებინა ექთანს. აღნიშნული ექიმები ასევე ზედამხედველობას უწევდნენ სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტებზე.

საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ იგი სერიოზულად მიიჩნევდა აღნიშნულ საკითხს, თუმცა ეს არ იყო სავალდებულო, ვინაიდან უმთავრესი იყო არა ნევროლოგია არამედ



ნევროლოგიური პაციენტის მოვლა, აღნიშნულის სწავლება, რაც მოვლას შეეხება შეეძლო მხოლოდ ექთანს.

საბჭოს წევრი მაია ჩიხლაძე დაინტერესდა სტუდენტების რა რაოდენობის მიღებას გეგმავდა დაწესებულება.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა მიმართა საბჭოს რომ მათ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას უნდა ემსჯელათ ორივე ფართზე, იგულისხმებოდა ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში არსებული შენობა-ნაგებობები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება ამ ეტაპზე აღარ სურდათ ქ. რუსთავში. შესაბამისად, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სწავლება განხორციელდებოდა მხოლოდ ქ. თბილისში არსებულ შენობა-ნაგებობაში.

ლაშა მარგიშვილმა დამატებით განაცხადა, რომ ვინაიდან დაწესებულება ახორციელებდა საგნობრივ და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროგრამებს, რეკომენდაცია იქნებოდა ცალ ცალკე განსაზღვრულიყო კონტიგენტი. კერძოდ, დაწესებულებას განსაზღვროდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და მათ შორის თითოეულ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნის პროგრამაზე ასევე - სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2011 წელს როდესაც ფართი შეადგენდა 400 კვ.მ-ს განსაზღვრული ჰქონდათ კონტიგენტი 825 პროფესიული სტუდენტით. ვინაიდან შემდგომ დაიდო მემორანდუმი განათლების აკადემიასთან, გაიზარდა პროგრამების რაოდენობა საგნობრივის და მოდულურის და ადგილი ჰქონდა სტუდენტების სწრაფ გადინებას. შესაბამისად, დაწესებულებას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვროდა 1 700 პროფესიული სტუდენტით.

ექსპერტმა თამარ ვალიშვილმა განაცხადა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართი შეადგენდა ფართი შეადგენდა 404.65 კვ.მ-ს, დასკვნაში დეტალურად იყო გაწერილი ინვენტარის რაოდენობა. ასევე აღწერილი იყო აუდიტორიები, რომელიც ეხებოდა მოდულურ პროგრამებს. იყო ძირითადი ორი აუდიტორია, ერთი ბიბლიოთეკარის მოდულური პროგრამისათვის 25 სკამით და მერხით და მეორე ბაგა ბალის აღზრდელისათვის აღჭურვილი 25 სკამით და მერხით. ასევე არსებობდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი რომელიც კოლეჯის სტუდენტებსაც აძლევდა საშუალებას ესარგებლათ სასწავლო ფართით, სწორედ ამიტომ იყო მოთხოვნილი ცხრილი რომ გარკვეულიყო როგორ იყო განაწილებული სასწავლო პროცესი. საუბარი იყო რამოდენიმე ცვლაზეც.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რა დასკვნა გამოიტანა ექსპერტმა სასწავლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მოთხოვნილი კონტიგენტიდან ექსპერტებმა შესაძლებლად მიიჩნიეს სასწავლო ფართიდან გამომდინარე პროფესიული სტუდენტების ადგილების უფრო მცირე რაოდენობის განსაზღვრა. მათი გამოთვლით, დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, მათ პროფესიულ სასწავლებელს შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 400 პროფესიული სტუდენტისთვის, თუ დაწესებულება სწავლებას განახორციელებდა ორ ცვლაში. ერთ ცვლაში დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 200 პროფესიული სტუდენტისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტებმა განმარტეს, რომ დაწესებულების მატერიალურ ფართში ვერ ჩათვლიდნენ შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიასთან დადებული მემორანდუმით გათვალისწინებულ ფართს, ვინაიდან აღნიშნული ფართი შპს საერთაშორისო



საზოგადოებრივ კოლეჯს საჯარო რეესტრის ამონაწერით არ უდასტურდებოდა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის მომენტში კოლეჯს ჰყავდა 126 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტმა თამარ ვალიშვილმა განაცხადა, რომ მათ აღწერეს სასწავლო გარემო, სასწავლო ფართი, აღწერილი იქნა სასწავლო აუდიტორიები ფართებით და ინვენტარით, რაც შიგნით იყო განლაგებული ყველაფერი აღწერილი იქნა დასკვნაში. იყო 150 სკამი და 146 მერხი. რაც შეეხებოდა ზედნადებს, ნამდვილად კოლეჯის ბალანსზე იყო მითითებული რაოდენობის სკამები და მერხები დაახლოებით 700 მაგრამ სასწავლო ფართზე არ იყო განთავსებული ვინაიდან არ იყო ადგილი 404 კვადრატულ მეტრზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა რომ მათ ჰქონდათ გაფორმებული მემორანდუმი განათლების აკადემიასთან, სარგებლობდნენ მათი ფართით და იქ იყო განთავსებული მათი ინვენტარი. ასევე, სამომავლოდ აპირებდნენ რუსთავის ფართის დამატებას.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის გაურკვეველი იყო, როგორ ნაწილდებოდნენ პროფესიული სტუდენტები განათლების აკადემიის ფართზე. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზუსტად ამისათვის გადასცა მან ექსპერტებს ცხრილი და წარუდგინა საბჭოს წევრებსაც. საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ ცხრილს საბჭო ვერ განიხილავდა სხდომაზე.

საბჭოს წევრმა ნიკოლზ ჩაჩხიანმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შეეძლო ნებისმიერ უნივერსიტეტთან დაედოთ მემორანდუმი, სადაც განთავსდებოდა გარკვეული რაოდენობის პროფესიული სტუდენტი, მაგრამ საბჭო ვერ დაუმტკიცებდა ავტორიზაციის მაძიებელს კონტიგენტს სხვისი ფართიდან გამომდინარე. რეალურად იჯარის ხელშეკრულებით პროფესიული სასწავლებელი ფლობდა 404 კვ.მ-ს, შესაბამისად, საბჭო ხელმძღვანელობდა მითითებული მონაცემებით, მათ არ შეეძლოთ ეხელმძღვანელათ მემორანდუმებით, სადაც გაურკვეველი იყო, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტი შეძლებდა განთავსებასა და სწავლას საერთო ფართზე. საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ ექსპერტებს არ ჰქონდათ უფლება და ვალდებულება ენახათ მემორანდუმით გათვალისწინებული ფართი.

ინვენტართან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინვენტარის ნაწილი შეძენილი იყო 2011-2012 წლებში. ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ სასწავლო ინვენტარი შესაძლებელია შეძენილი ყოფილიყო სხვადასხვა დროს, დაწესებულებას შეეძლო გარკვეული ნაწილი ჩამოეწერა დაზიანების გამო, დასკვნაში ექსპერტს უნდა აესახათ ფაქტობრივად არსებული არსებული ვარგისი ინვენტარის რაოდენობა.

საბჭოს წევრი მაია ჩიხლაძე დაინტერესდა რამდენი აუდიტორია იყო პირველ სართულზე. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ სართულზე იყო ოთხი აუდიტორია, ფარმაციის და სტომატოლოგიის ლაბორატორიები, ასევე ბიბლიოთეკა. მას წარმოდგენილი ჰქონდა რამდენი აუდიტორია და მერხი იყო განთავსებული აუდიტორიებში. დასკვნაში ეწერა რომ მოდულურისთვის იყო გამოყოფილი ორი აუდიტორია.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ავტორიზაცია 5 წლის ვადით მინიჭებული ჰქონდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 ივლისის №79-ე გადაწყვეტილებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლებლის სურვილი იყო ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, გადაწყვეტილება ამოქმედებულიყო 2016 წლის 11 ივლისიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.



კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ: 400019948) 2016 წლის 11 ივლისიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ბაგაბალის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 41-ით, ხოლო ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 15 პროფესიული სტუდენტით.



3. შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა სხდომის მდივანს, საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა დასკვნა საბჭოზე წარადგინეს ექსპერტებმა პეტრე ბაბილუამ და თეა შაყულაშვილმა.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას ჰქონდა საერთო სარგებლობის სველი წერტილები, რომლის სარგებლობაც შეეძლოთ სხვა პირებსაც და ერთი ცალკე სველი წერტილი განკუთვნილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის.

1.2 დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმა, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით გამჭირავებლის მიერ იყო დამზადებული. დაწესებულებამ წარმოადგინა გამჭირავებლის მიერ გაცემული ცნობა, სადაც მითითებული იყო, რომ საევაკუაციო გეგმა დამზადებული იყო კანონმდებლობით დადგენილი წესებით.

1.3 რაც შეეხებოდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, რექტორის ბრძანებით №6, 2011 წლის 27 ივლისი, პერსონალისა და სტუდენტთა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებლობა ევალოებოდა კოლეჯის განყოფილების გამგეს ჰენრიხ ყარაშვილს, ასევე მის ოთახში იყო სამედიცინო კარად წამლებით. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პიროვნებას არ უდასტურებოდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ჰენრი ყარაშვილს ჰქონდა თუ არა მას რაიმე სერთიფიკატი ან დოკუმენტი, რაც იძლეოდა იმის დადასტურების საშუალებას, რომ მას შეეძლო პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა სერთიფიკატი, თუმცა ადრე ჰქონდა გავლილი პირველადი დახმარების აღმოჩენის კურსები და შეეძლო თავისუფლად გაეწია პირველადი სამედიცინო დახმარება.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ წარმომადგენელს არ ჰქონდა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მის კავლიფიკაციას სამედიცინო დახმარების კუთხით, ეს ნიშნავდა იმას, რომ მას არ ჰქონდა მსგავსი ქმედების განხორციელების კანონიერი საფუძველი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დირექტორის განმარტებით გადაუდებელ შემთხვევაში გამოძახებული იქნებოდა სასწრაფო დახმარება.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ სტანდარტი მოითხოვდა, რომ დაწესებულებას ჰქონოდა შემუშავებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ეს გულისხმობდა იმას რომ დაწესებულებას უნდა ჰყოლოდა აყვანილი ექიმი ან ექთანი ან დაწესებულებას შეეძლო რომელიმე მისი



თანამშრომლისთვის, რომელსაც ექნებოდა შესაბამისი კომპეტენცია და ცოდნა, ხელშეკრულების საფუძველზე დაევალებინა აღნიშნული ფუნქციის შესრულება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შეეძლო პორფესიულ დონეზე ნებისმიერი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა იქნებოდა ეს წნევა, ეპილეფსია, სისხლდენა ვენური ან არტერიული, მოტეხილობები და ა.შ.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ მას უნდა ჰქონოდა დამადასტურებელი დოკუმენტი იმისა, რომ ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია საჭიროების შემთხვევაში გაეწია პირველადი სამედიცინო დახმარება, ან დაწესებულებას ექიმთან, ან ექთანთან უნდა გაერორმებინა შრომითი ხელშეკრულება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯი 2 კვირის განმავლობაში დადებდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთან შრომით ხელშეკრულებას და წამოადგენდა ცენტრში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯი ახორციელებდა მხოლოდ საგნობრივ პროგრამებს და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა სურდა 150-ით. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას შეეძლო 150 პროფესიული სტუდენტისთვის შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

ლამა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 8 სექტემბრის №242-ე გადაწყვეტილებით 5 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, მათი სურვილი იყო, რომ გადაწყვეტილება ამოქმედებულიყო 2016 წლის 8 სექტემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ: 404903565) 2016 წლის 8 სექტემბრიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.



დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა 17:15 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
საბა სარიშვილი



მდივანი
ლიანა ზამბახიძე

